RUSALLOYS

№ 01-154/05-23 / 03 / 08 / 2023

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
03 " 08 2023 წ.
№ 7409

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ქ. რუსთავში მოქმედი შპს „რუსელოის"-ის ფეროშენადნობთა საწარმოს საქმიანობის მიზანია მეტალურგიულ წარმოებაში ერთ-ერთი აუცილებელი ნედლეულის ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმი, ფერომანგანუმი, ფეროსილიციუმი) და აგლომერატის წარმოება.

გაცნობებთ რომ, შპს „რუსელოისს" დაგეგმილი აქვს ფეროშენადნობთა საწარმოში ახალი პროდუქციის - ფეროქრომის (FH-850) წარმოება.

აღსანიშნავია, რომ საწარმოში არსებული ღუმელების კონსტრუქცია იძლევა ფეროქრომის წარმოების საშუალებას, შესაბამისად ახალი პროდუქციის წარმოება არ იქნება დაკავშირებული ახალი ხაზის მოწყობის ან სხვა სახის სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოებთან.

ფეროქრომის წარმოებისას ტექნოლოგიური ციკლი აბსოლუტურად იდენტური იქნება არსებული სქემისა, რაც ამჟამად ფეროსილიკომანგანუმის, ფერომანგანუმისა და ფეროსილიციუმის წარმოებისას გამოიყენება, შესაბამისად დაგეგმილი ცვლილებები არ გამოიწვევს არსებული ტექნოლოგიური ციკლის და საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ცვლილებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლ ის მე-12 პუნქტის შესაბამისად: „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა".

დაგეგმილი საქმიანობა (ახალი პროდუქციის წარმოება) წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი პროცედურების გასავლელად და სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად წარმოგიდგენთ შპს „რუსელოის"-ის მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი პროდუქციის წარმოება) პროექტის სკრინინგის განცხადებას საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებულ დანართებთან ერთად.

შპს „რუსელოის" / „Rusalloys" Ltd. სიდ. კოდი / ID: 404504327 / საქართველო, თბილისი 0108, მ. ბროსეს ქ. 2, ოფისი №25
Office №25; 2, M. Brosse str., 0108 Tbilisi, Georgia / ტელ./Tel.: (+995 32) 224 40 60 / E-mail: info@rusalloys.com / www.rusalloys.com

დანართები

1. შპს „რუსელოის“-ის მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი პროდუქციის წარმოება) პროექტის სკრინინგის ანგარიში - ელ-ვერსია;

2. შპს „რუსელოის“-ის ფეროშენადნობების საწარმოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - ელ-ვერსია;

3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp ფაილთან ერთად) - ელ-ვერსია.

პატივისცემით,

ნუგზარ კევლიშვილი

გენერალური დირექტორი

C 313

RUSALLOYS LTD * 204450427 * 3ეს ტუბანი